№ GG25-1058077 D 28.02.2025

შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“
ელ-ფოსტა: vvardania@gmail.com
ტელეფონი: 599 27 47 27; 597 92 51 92

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება, დარეგისტრირებული IN25-1057003, დათარიღებული 25/02/2025წ. უნივერსიტეტის ქუჩა #6-ში (ს/კ 01.14.06.008.290) გამავალი წყალარინების ქსელის გადატანის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე გამავალი წყალარინების ქსელს, რომელზეც ფიქსირდება კომპანიის აბონენტები, ემსახურება „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ რომელთა მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები. ხოლო რაც შეეხება ქსელის გადატანის საპროექტო დოკუმენტაციას, უნდა მომზადდეს „კომპანიის“ მიერ დამუშავებული სქემატური ნახაზის მიხედვით და შეთანხმდეს კომპანიის შესაბამის სამსახურთან. რისთვისაც უნდა მოგვმართოთ ახალი განაცხადის ფორმით, წარმოადგინოთ საპროექტო შენობის განთავსების გეგმა კოორდინატებში და მოითხოვოთ ქსელის გადასატანად საჭირო ტექ. დავალების (სქემატური ნახაზის) მომზადება.

თქვენს მიერ ქსელის გადატანის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და „კომპანიასთან“ შეთანხმების შემდგომ, საჭიროა მოგვმართოთ ახალი განაცხადის ფორმით, რის შემდეგაც „კომპანიის“ ზედამხედველობით დაინტერესებული მხარის მიერ ჩატარდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ხოლო, მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა მოხდება წყალარინების ქსელის გადატანის შემდგომ.

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

მ. ლოლაძე
293 11 11 (51 13)

სილქნეტი
SILKNET

№ 991/24-8

"20" 02 2025

შპს „ბი-ეიჩ-ეს გრუპი“-ს დირექტორს
ბატონ ზაზა კალანდიას
საკონტაქტო ტელ: 599274727

ბატონო ზაზა,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-1386 - 12/02/2025) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. #6-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.14.06.008.290 გადის სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელიც მიწოდებული გვაქვს CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. წარმოდგენილი გენ-გეგმის თანახმად საპროექტო შენობა და სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაცია არ მოდის კვეთაში ერთმანეთთან. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა წარმოდგენილ გენ-გეგმაში საპროექტო შენობის ადგილის გათვალისწინებით და ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის“ კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის“ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით:

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ირაკლი აბაშიძე

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ: (+995 32) 2 100000; ფაქსი (+995 32) 2 100001
სს „სილქნეტი“, ს/კ 204566978 www.silknet.com

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 100000; Fax: (+995 32) 2 100001
JSC „Silknet“, I/C 204566978 www.silknet.com



სს "სილქნეტი"-ს საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციის ტრაექტორიის ხაზი
მანძილი საპროექტო შენობასა და ხაზოვან მიწისქვეშა კომუნიკაციას შორის
01.14.06.008.313
01.14.06.008.027
01.14.06.008.290
01.14.06.008.017
15079
13169
4387
5800
6400
6200
4500
3000
7000
6000
2500
3200
2251
12574
5900
1179
A-602
A-411
სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
18.02.25